#463 2014 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მ. ცქიტიშვილისათვის დელეგირების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის, სამსახურებრივი დოკუმენტაციის ხელმოწერის, საქართველოს მთავრობის რეგლამენტით გასაზღვრული საქართველოს მთავრობის სხდომის მომზადების, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ და, კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ურთიერთობაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელით გამოსვლის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დადების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებით სათანადო ბრძანების გამოცემის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაწესებულების ხელმძღვანელის სხვა უფლებამოსილებები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სახელზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისა და აღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემის უფლებამოსილებები მიენიჭოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს მაია ცქიტიშვილს.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მ. ცქიტიშვილისათვის დელეგირების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 1 ნოემბრის №1553 ბრძანება.

ირაკლი ღარიბაშვილი